დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ. #07/01-06, 25/03/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საეთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის
წესი

თბილისი,
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი ადგენს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესს.

1.2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების (შემდგომში – „ბრძანება“), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, საერთაშორისო სტუდენტი გულისხმობს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მიღებული აქვს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში.

1.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირებს.

1.5. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც მოიპოვეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტის „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.6. საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცესს კოორდინირებას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით უნივერსიტეტისათვის მიმართვის უფლება აქვთ წინამდებარე წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ პირებს. აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ უნივერსიტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა იმ შემთხვევაშიც, თუკი მათ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის სტატუსი უკვე მოიპოვეს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი რეგულირდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით.

2.3. ბრძანებით განსაზღვრულ პირებს (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბრძანებით დადგენილ პირობებს) პროგრამის ენის შესაბამისი ცოდნის დონის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უტარებს ონლაინ გასაუბრებას, რომლის ვიდეოჩანაწერი მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტროსთვის ხდება ხელმისაწვდომი.

2.4. ამ მუხლის 2.3 პუნქტით განსაზღვრული პირების საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნივერსიტეტში გადმოსვლის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის 2.3 პუნქტით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ჩაბარების გარდა, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილი ყველა ეტაპი უნივერსიტეტის „სამაგისტრო სწავლების დებულებით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2.6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილი ყველა ეტაპი „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

2.7 უნივერსიტეტში სწავლის დასაწყებად აპლიკანტი/მსურველი პირი გადის ონლაინ რეგისტრაციას და დადგენილი წესის შესაბამისად, აგზავნის შემდეგ დოკუმენტებს:

2.7.1. ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ პასპორტის ასლს;

2.7.2. ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ სკოლის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატის/სერტიფიკატის/ბაკალავრის დიპლომის/მაგისტრატურის დიპლომის ასლს;

2.7.3. ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ ნიშნების ფურცელს;

2.7.4. რეზიუმეს (CV) და სამოტივაციო წერილს ინგლისურ და ქართულ ენებზე;

2.7.5. ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატს (IELTS – 6.0; TOEFL – 78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატი (იმ ბაკალავრებისთვის, რომლებსაც სკოლა აქვთ დამთავრებული ინგლისურ ენაზე, ასევე მაგისტრებისთვის და დოქტორებისთვის, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე, მათთვის სერტიფიკატის წარმოდგენა არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტი);

2.7.6. საერთაშორისო ხარისხის მობილობის შემთხვევაში (ტრანსფერი) აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს ჩარიცხვის ბრძანება იმ უნივერსიტეტიდან, სადაც ირიცხება და ამ უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური ნიშნების ფურცელი.

2.8. მას შემდეგ, რაც პირი წარმატებით გაივლის ონლაინ/ვიდეო ინტერვიუს და გადაიხდის სააპლიკაციო მოსაკრებელს, უნივერსიტეტის კანცელარია ამზადებს წინასწარი ჩარიცხვის წერილს, რომელიც ეგზავნება სსიპ „განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს“ შემდეგ დოკუმენტებთან ერთად: ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი პასპორტი; ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი სკოლის დამთავრების დამადასტურებელი სერტიფიკატი, დიპლომი (ნიშნების ფურცელთან ერთად), შესაბამისობის ფორმა (საერთაშორისო ხარისხის (ტრანსფერის) მობილობის შემთხვევაში).

2.9. გარდა ზემოაღნიშნულისა, ხარისხის მაძიებელი სტუდენტი ავსებს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ სააპლიკაციო ფორმას და თან ურთავს ცენტრის მომსახურების გადახდის ქვითარს, რაც დანართის სახით წარედგინება ცენტრს.

2.10. პირის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.
2.10.1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების გამოცემის შემდეგ, აპლიკანტი ვალდებულია გადაიხადოს მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასური სრულად.
2.10.2. მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრულად გადახდის შემდგომ ხარისხის მაძიებელ სტუდენტთა სია ფორმდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს ბრძანების გამოსაცემად.
2.11. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტს შეექმნება სავიზო პრობლემა და ვერ შეძლებს ქვეყანაში ჩამოსვლას სწავლის დასაწყებად, საქართველოს იუსტიციის სახლიდან ან შესაბამისი საკონსულოდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე უნივერსიტეტი დაუბრუნებს გადახდილი სწავლის საფასურს.
2.12. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან აქტიური სტუდენტური სტატუსის ფლობის სრული პერიოდის მანძილზე უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისის ფლობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი ვერ ჩაერთვება სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სტუდენტს, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად არ ფლობს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისს, შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.
2.13. უნივერსიტეტს უფლება აქვს სტუდენტ(ებ)ს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია (სადაზღვევო პოლისი) და ამ მუხლის 2.12. პუნქტით გათვალისწინებული ცნობა.
2.14. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე/ დოქტორანტურაში სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე გამოიცემა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება; ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც აისახება „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.
2.15. საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირებაზე ვრცელდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი ნორმები.

მუხლი 3. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება
3.1. საერთაშორისო სტუდენტის ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გარეშე, ასევე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილი განათლების აღიარების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3.2. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით შესაბამისი წარმოება ხორციელდება სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი“ მიმართვის საფუძველზე.

3.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცესის წარმართვისა და აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის აპლიკანტთა მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი ეხმარება აპლიკანტს საჭირო დოკუმენტების შეგროვებასა და ცენტრში წარდგენაში.

მუხლი 4. საერთაშორისო სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვა

4.1. წინამდებარე წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობის უფლებით და ჩაირიცხონ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4.2. საერთაშორისო სტუდენტთა მობილობა ხორციელდება სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით სტუდენტების ჩარიცხვის პროცესს კოორდინირებას უწევს შესაბამისი სკოლა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 5. ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის და მობილობით ჩარიცხვის წესი

5.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანებით.

5.2. ბრძანებით განსაზღვრული პირების (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბრძანებით დადგენილ პირობებს) პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტი უტარებს ონლაინ გასაუბრებას და აღნიშნული გასაუბრების ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომი ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის.

5.3. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არანაკლებ 75 დღისა (ერთ-ერთი სემესტრი) ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში სწავლის (საბაკალავრო საფეხურზე) გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – „ცენტრი) მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

5.4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირების საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნივერსიტეტში გადმოსვლის წესი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.5. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველი პირი გადის ონლაინ რეგისტრაციას და დადგენილი წესის შესაბამისად, აგზავნის შემდეგ დოკუმენტებს:

– ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ პასპორტის ასლს;

–ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ სკოლის დამთავრების ატესტატს/სერტიფიკატის/ბაკალავრის დიპლომის/მაგისტრატურის დიპლომის ასლს,

– ნოტარიულად დამოწმებულ და ქართულ ენაზე ნათარგმნ ნიშნების ფურცელს;

– რეზიუმეს ინგლისურ ენაზე;

– ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატს (IELTS- 6.0; TOEFL-78) ან სხვა შესაბამისად აღიარებული B2 დონის სერტიფიკატს)
–მიღების წერილს გადმომსვლელი უნივერსიტეტიდან (საერთაშორისო ხარისხის მობილობის შემთხვევაში (ტრანსფერი)).
5.6. მას შემდეგ რაც პირი წარმატებით გაივლის ვიდეო ინტერვიუს და გადაიხდის სააპლიკაციო მოსაკრებელს, უნივერსიტეტის რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი ამზადებს წინასწარი ჩარიცხვის წერილს, რომელიც შემდეგ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება ცენტრს: - ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი პასპორტი; - ნოტარიულად დამოწმებული და ქართულად ნათარგმნი ატესტატი/დიპლომი (ნიშნების ფურცელთან ერთად). - შესაბამისობის ფორმა (საერთაშორისო ხარისხის (ტრანსფერის) მობილობის შემთხვევაში).
5.7. გარდა ზემოაღნიშნულისა, ხარისხის მაძიებელი სტუდენტი ავსებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპლიკაციო ფორმას და თან ურთავს ცენტრის მომსახურების გადახდის ქვითარს, რაც დანართის სახით წარედგინება ცენტრს.
5.8. პირის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, განათლების, მეცნიერიების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.
5.9. საბოლოო პასუხი ჩარიცხვასთან დაკავშირებით აპლიკანტებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
5.10. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან აქტიური სტუდენტური სტატუსის ფლობის სრული პერიოდის მანძილზე უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისის ფლობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 სექტემბრის N572 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს არ დაუშვებს სასწავლო პროცესში (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში). უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, სტუდენტს, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად არ ფლობს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისს, შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.
5.11. ხარისხის მაძიებელ სტუდენტენტთა სია ფორმდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოხსენებითი ბარათით, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტების განცხადებებთან ერთად.
5.12. ხარისხის მაძიებელი სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებენ ზოგადსაუნივერსიტეტო კმაყოფილების კითხვარს, რომელსაც აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით.
6.2. წინამდებარე წესი მტკიცდება და ძალაში შედის რექტორის ბრძანების საფუძველზე.
6.3. წინამდებარე წესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.